პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 3 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

250 (948)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელმნენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. ნ. სტრ

# დღეს საბჭოთა კავშირის მუშები, გლეხები და წითელი არმია მიწას აბარებენ პროლეტარულ რევოლიუციის სახელოვან მებრძოლს, წითელ არმიის ბელადს ამხ. ფრუნზეს.

## წითელი არმია ფიცს სდებს, რომ ის პირნათლად შეასრულებს უკვდავ ბელადის ანდერძებს.

## ბელადის სამარის წინაშე.

დღეს წითელი არმია მიწას აბარებს თავის პირველ მებრძოლს, საყვარელ ხელმძღვანელს—მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს.

სამუდამოდ გვცილდება ადამიანი, რომლის ცხოვრების შინაარს შეადგენდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირული, უანგარო რევოლიუციონური ბრძოლა და მუშაობა. ასეთები როგორც ფრუნზე ძვირად იბადებიან. სწორედ ამიტომ ძნელია მისი დაკარგვა, სწორედ ამიტომ მისი სიკვდილი უდიდესი დანაკლისია მთელი საბჭოთა კავშირისათვის და განსაკუთრებით წითელ არმიისათვის.

მან ბევრი გააკეთა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების ორგანიზაციის საქმეში. მისი ნიჭიერი ხელმძღვანელობის ქვეშ წითელი არმია სამოქალაქო ომის პერიოდში სასტიკ დამარცხებებს აგემებდა მტერს, ხოლო აღმშენებლობის, სამოქალაქო ომის შემდეგი მშვიდობიან ხანაში მან (წითელმა არმიამ) დიდათ განამტკიცა თავისი რიგები და ასწია საბრძოლო უნარი. ტერიტორიალური აღმშენებლობა ფართედ განვითარდა ამხ. ფრუნზეს უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

მიხეილ ვასილის ძე აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა წითელი არმიის ეროვნულ ნაწილებს.

ეროვნული წითელი ჯარის გასამტკიცებლად და გასაძლიერებლად მან ბევრი ძვირფასი მითითებანი და დარიგებები მოუცია. ამიტომაც მისი სიკვდილი უდიდესი დანაკლისია ეროვნული და კერძოთ ჩვენი ქართული წითელი ჯარისათვისაც.

მხოლოდ ჩვენი რიგების მეტი შემჭიდროებით, მხოლოდ გაძლიერებული სწავლებით ჩვენ შეგვიძლია ავინაზღაუროთ ამხ. ფრუნზეს დაკარგვა. ფრუნზე—ცოცხალი მუდამ საუკეთესო მაგალითი იყო რევოლიუციონერ მებრძოლისა. ასეთივეთ უნდა დარჩეს ის ყველა წითელი მეომრისათვის სიკვდილის შემდეგაც.

გულდათუთქული წითელი არმია, მწარე ტკივილებით გულში, დღეს ეთხოვება თავის საყვარელ გმირ ხელმძღვანელს!

უკანასკნელად ის მუხლს იდრეკს მისი ძვირფასი ცხედრის წინაშე და ფიცს სდებს, რომ მტკიცედ და შეურყევლად ივლის მის მიერ ნაჩვენებ გზით, წითელი არმია ფიცს სდებს, რომ გაძლიერებული სწავლითა და მუშაობით ის განამტკიცებს თავის რიგებს და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს, შეუდრეკლად იდგომება საბჭოთა კავშირის და მსოფლიო რევოლიუციის სადარაჯოზე და მუდამ მაღლად ექნება ხელში ოქტომბრის წითელი დროშა.

წითელი არმია ფიცს სდებს, რომ ის არასდროს არ შეარცხვენს საყვარელ ბელადის სახელს.

საუკუნო ხსენება რევოლიუციის გმირს!

მოკვდა ფრუნზე, გაუმარჯოს წითელ არმიას!

## მეგობრისა და ამხანაგის ხსოვნას.

(ამხ. უნშლიხტის წერილი)

ორი წლის ერთად მუშაობის განმავლობაში მე კარგად შევისწავლე მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე. ყოველთვის ერთი და იგივე, ძვირფასი და ახლობელი, ზედმიწევნით ფაქიზი, ჭეშმარიტი რევოლიუციონერი, ბოლშევიკი პარტიელი. ის იყო იმ რჩეულთაგანი, რომლებისთვისაც უცხოა შური და წვრილმანობა. ის ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა სხვათა აზრს. არასდროს, არც ერთი წუთი ის არ ჯიუტობდა, თუ რომ დარწმუნდებოდა თავის შეცდომაში. მისთვის უცხო იყო „კაზიონშჩინა“ და ბიუროკრატიზმი. ის იყო ამხანაგი და მეგობარი.

ჩვენი წითელი არმიის შთამგონებელისა და ხელმძღვანელის მაღალ, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ის დარჩა ისეთივე უბრალო და უშუალო, როგორც თავის ახალგაზრდობაში, როცა ის მუშაობდა იატაკ ქვეშ ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

ასეთი ადამიანები ჩვენ შორის ცოტაა. ასეთი ადამიანების რიცხვი თანდათან მცირდება, მეჩხრდება ძველი ბოლშევიკური გვარდიის რიგები

მას უყვარდა სამხედრო საქმე, ის მას იტაცებდა, როგორც ყველაფერი, რაც კი სახელმწიფო საქმეს ემსახურებოდა, რაც კი ჩვენი საბოლოო გამარჯვების დღეს აახლოებდა.

მან გაჭკაფა ახალი გზები წითელი არმიის აღმშენებლობისთვის; თავისი ენერგიით, დაჟინებითა და დასაბუთების ძალით მან მოუპოვა ტირ ნაწილებს სათანადო ადგილი რევოლიუციის შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობის სისტემაში. მისმა გაბედულმა ბრძოლამ მერყეობის წინააღმდეგ და რევოლიუციონურ დისციპლინისთვის გამოაფხიზლა მთელი არმია და ბრწყინვალე შედეგები მოიტანა.

მიხეილ ვასილის-ძეს ჰქონდა დიდი სამხედრო განათლება. მიიღო ის მან არა სკოლაში, არა აკადემიაში, არამედ თვითგანვითარების გზით უძილო ღამეებში.

პარტიის სფეროში ის იყო ვლადიმერ ილიჩის ერთ-ერთი ნიჭიერ და საუკეთესო მოწაფეთაგანი.

ყოველმხრივ უხვად დაჯილდოებული ბუნება დაიღუპა უდროოდ.

მძიმე და შეუვსებელი დანაკლისია პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიისთვის.

ჯერ კიდევ მეფის დროს მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე ბოლშევიკური ორგანიზაციის საუკეთესო იატაკ ქვეშ მომუშავე იყო. ის ყოველთვის მზად იყო შეეწირა თავისი სიცოცხლე დიადი საქმისათვის.

მიუხედავად სასიკვდილო განაჩენებისა, კატორღის წლებისა, ციხეებისა და გადასახლების, ის რჩებოდა უვნებელი და რევოლიუციონური აღფრთოვანებით აღსავსე,

სამოქალაქო ომის პერიოდში ფრუნზე იკავებს სარდალის საპასუხისმგებლო თანამდებობებს. ყოველთვის საბრძოლო პოზიციებზე, ტყვიების სეტყვის ქვეშ ის ამხნევებდა სუსტებსა და მეყევთ. მრავალჯერ მიხეილ ვასილის ძის სიცოცხლე სიკვდილის საფრთხეში იყო. ის არას დროს არ შემდრკალა. მას მიჰყავდა წითელი არმია ერთ გამარჯვებიდან მეორესაკენ. ის იბრძოდა ყველა ფრონტებზე თეთრი არმიების დასათრგუნავად.

ჩვენთვის მოულოდნელად, მიხეილ ვასილის ძეს მამაცურმა გულმა შესწყვიტა მუშაობა.

ძვირფასო მიხეილ ვასილის ძევ, ძვირფასო და საყვარელო მეგობარო და ამხანაგო!

ჩვენ კიდევ არ გვჯერა, რომ შენ უკვე აღარ გვყავხარ, რომ შენ გამოაკლდი კომუნიზმისთვის უშიშარ მებრძოლთა რიგებს, რომ შენ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის წითელმა სარდალმა დაგვტოვე ჩვენ სამუდამოდ“.



ამხ. ფრუნზე.

## ღირსეულად ვატარებთ ძვირფასი ბელადის სახელს.

პირველ ნოემბერს თბილისის საბჭოს და სამხედრო ორგანიზაციების სამგლოვიარო სხდომაზე, რომელიც შესდგა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო შეტანილ იქნა წინადება რომ მე-2-რე ქართულ ტერიტორიალურ დივიზიას ეწოდოს ამხ. მ. ვ. ფრუნზეს სახელი. თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

ამხ. ფრუნზე დიდ ყურადღებას აქცევდა წითელი არმიის ნაციონალურ აღმშენებლობას საერთოდ და კერძოთ კი ქართული წითელი არმიისა.

ამხ. ფრუნზეს მიერ გამოგზავნილი იქნა სპეციალური კომისია ქართული ნაწილების შესასწავლად, რომ მომავლისთვის მიეცა სწორი გეზი აღმშენებლობისა.

როცა ამხ. ფრუნზე ამ რამოდენიმე თვის წინად თბილისში ჩამოვიდა, თათბირი ქონდა ჩვენი დივიზიის (მე-2-რე) ხელმძღვანელებთან. ამხ. ფრუნზეს ყოველივე სიტყვაში დივიზიის ხელმძღვანელები ხედავდენ მთელი პერიოდების სახელმძღვანელო მასალებს. თათბირზე ამხ. ფრუნზეს საბოლოვო სიტყვა იყო: „მე დარწმუნებული ვარ რომ ქართულ დივიზიები არ ჩამორჩებიან ცენტრალური ოლქების ძველ დივიზიებს“-ო. ქართულ წითელი ჯარი ამაზე უპასუხებს—„ძვირფასო ბელადო ფიცს ვდებთ რომ თქვენი სიტყვები ქართული წითელი ჯარის შესახებ გავამართლოთ“.

მეორე ქართული დივიზია არ შეარცხვენს ღირსეული ბელადის ამხ. ფრუნზეს სახელს. მუდამ იქნება მტკიცე, მედგარი და შეუპოვარი-როგორიც იყო ამხ. ფრუნზე, ფხიზლად იქნება დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე როგორც განსვენებული ბელადი.

ნ. ბ—ლი.

## მ. ი. კალინინის წერილი.

კალინინი ფრუნზეს ხსოვნას უძღვნის შემდეგ სტრიქონებს: „ბედი თითქოს შურს იძიებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე მუშებისა და გლეხების გამარჯვებისათვის ძველ ქვეყანაზე.

განსაკუთრებით ბევრია მსხვერპლი უკანასკნელ წლებში. საკმარისია მოვიგონოთ ნარიმანოვის, მიასნიკოვის, ვლადიმეროვისა და სკლიანსკის დაკარგვა. ბოლოს მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს გარდაცვალება მძიმე დანაკლისია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და მისი წითელი არმიისათვის. ერთად-ერთ მანუგეშებლად დაგვრჩენია წარმოდგენა იმის, რომ ფრუნზეს მუშაობა ხელს უწყობდა წითელი არმიის ნამდვილი ძლიერების განმტკიცებას.

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზესთვის საუკეთესო ძეგლი იქნება მის საყვარელ ჩვენი წითელი არმიის გაუმჯობესება.

იძინე, ძვირფასო მეგობარო, პატიოსანო კომუნისტო და მხედარო, რომელმაც შეასრულე შენი ვალი! ცოცხლები მტკიცედ შევამჭიდროვებთ რიგები მუშათა კლასის იდეალებისთვის საბრძოლველად!“

# თბილისის საბჭოს სამგლოვიარო გაფართოებული სხდომა.

კვირას 1 ნოემბერს სალ. 6 საათზე საოპერო თეატრში გაიხსნა საქ. ცაკის, ამ.-კავკ. ცაკის, ამ.-კავკ. პროფსაბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების სამგლოვიარო სხდომა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

სხდომა გახსნა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ცხაკაიამ.

### ამხ. ცხაკაიას სიტყვა.

კრების გახსნისას ამხ. მ. ცხაკაიამ წარმოსთქვა სიტყვა ამხ. ფრუნზეს დაკარგვის გამო. მან აღნიშნა საბჭოთა კავშირის და კომუნისტური პარტიის დიდი დანაკლისი და სთქვა, რომ საბჭოთა კავშირის სიმტკიცეს მაინც ვერ გალუნავს ვერავითარი მოვლენა.

### ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა.

ამხანაგებო, წრეულს დიდ გამარჯვებებთან ერთად მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში, დიდი ჭრილობებიც გვაქვს.

ამ დარბაზში, სადაც ჩვენ მივეჩვიეთ ზეიმობას გამარჯვებათა გამო, წელს მესამეთ ვიკრიბებით, რომ უთხრათ გამოსათხოვარი სიტყვა იმ ამხანაგებს, რომელნიც ათეული წლების განმავლობაში იბრძოდენ პროლეტარიატის რიგებში და მის გამარჯვებას შესწირეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ.

ამ ტრიბუნაზე ორჯერ მიხდება გამოსვლა, რომ უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვები ვსთქვა დაღუპულ ამხანაგებზე.

ჯერ კიდევ ალიოშას, ათარბეგოვის, მოგილევსკის და ნარიმანოვის ნეშთები მიწისთვის არ მიგვებარებია და ჩვენ მივიღეთ ცნობა ამხ. ვლადიმიროვის და მარხლევსკის დაკარგვის შესახებ. დაიღუპენ აგრეთვე ამხ. სკლიანსკი და ხურგინი, ხოლო გუშინ დილით კი ჩვენ მივიღეთ საშინელი დეპეშა: გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი მიხეილი. ერთი დღით ადრე ჩვენი საყვარელი მეგობრისაგან ჩემს შეკითხვაზე მისი ჯანმრთელობის შესახებ ასეთი დეპეშა მივიღე: „კარგათ ვარ, ხუთშაბათს ოპერაციას ვიკეთებ. სალამი. 28/X მიხეილი.“

ორი კვირის წინად, როცა მას ვემშვიდობებოდი კრემლის საავადმყოფოში, არც მე და არც სხვას ექვი არ გვეპარებოდა, რომ 31 ოქტომბერი საბედისწერო დღე იქნებოდა ამხ. ფრუნზესთვის. არ გამართლდა ამხ. ფრუნზეს იმედი, რომ იგი გამარჯვებული გამოვიდოდა ოპერაციიდან. გულმა, რომელმაც გადაიტანა სამი ათეული წლის მედგარი ბრძოლა, ციხე, კატორღა და დიდი ბრძოლები, ბოლოს ველარ აიტანა უკანასკნელი წამება და დადუმდა.

შემდეგ ამხანაგი ორჯონიკიძე ჩერდება განსვენებულის დახასიათებაზე, როგორც უბადლო მთავარსარდალზე და წითელი არმიის შეუდარებელ ხელმძღვანელზე.

თავისი ვრცელი სიტყვის დასასრულს ამხ. სერგო ამბობს: მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში არ იქნება არც ერთი ამხანაგი, რომელსაც ენახოს ამხ. მიხეილი და მისდამი ღრმა პატივისცემით არ გამსჭვალულიყოს. დღეს იგი ჩვენთან აღარ არის, ორი დღის შემდეგ ის სამუდამოთ დაგვშორდება ჩვენ.

წითელი არმია ჰკარგავს, ამხანაგებო, წინამძღოლს, მაგრამ ჩვენ ბოლშევიკებს არ გვჩვევია ცრემლები და ჩვენ შევსძახებთ: „წითელმა არმიამ დაჰკარგა წინამძღოლი—გაუმარჯოს წითელ არმიას“! ძველი გვარდიის რიგებს აკლდება ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი—გაუმარჯოს ჩვენ ახალგაზრდა გვარდიას!

ჩვენი კომუნისტური პარტია ჰკარგავს ცენტრალური კომიტეტის წევრს, ჰკარგავს ერთ საუკეთესო მებრძოლს.

ჩვენ ვიტყვით: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

### ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა.

თავის სიტყაში ამხ. ფილიფე ვრცლათ შეეხო განსვენებულ ფრუნზეს, როგორც სამაგალითო ადამიანს და დიდ რევოლიუციონერს.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა რომ ფრუნზემ წითელი არმიის რიგების განმტკიცება დაიწყო ოქტომბრის რევოლიუციის მეორე დღესვე და იგი ერთგულათ და თავდადებით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს.

—წითელმა არმიამ დაჰკარგა თავისი ბელადი, მაგრამ წითელი არმია უფრო შეამჭიდროვებს თავის რიგებსო დაათავა ამხ. მახარაძემ.

ამხ. ფილიპეს შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ამხ. ლუკაშინმა და კორკმა.

### ამხ. შ. ელიავას სიტყვა.

ამხ. შ. ელიავა ახასიათებს განსვენებულს, როგორც საუკეთესო სტრატეგს და შეუპოვარ მებრძოლს. ორატორის დახასიათებით ამხ. ფრუნზე ძვირფასი და იშვიათი იყო როგორც პარტიული მუშაკიც ეროვნულ საკითხში იგი აღმოჩნდა ნამდვილი ლენინელი. იგი იყო დიდი და საყვარელი ადამიანიც, —ამბობს ამხ. შალვა ელიავა.

ამხ. შ. ელიავას სიტყვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბუნიატ-ზადემ, რატნეკმა და ამხ. ორლოვმა.

### სხდომის დადგენილება,

საქ. ცაკის მდივან ამხ. ს. თოდრიას წინადადებით გაერთიანებული სხდომა ადგენს: ა. კ. და საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასკომების, რ. კ. პ. ა. კ. საოლქო კომიტეტი, საქ. კომპარტიის და ტფილისის საბჭოს სახელით სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს საკავშირო ცაკს და რ. კ. პ. ცეკას. ამასთანავე დაევალოს ამხ. ს. ორჯონიკიძეს ზემოხსენებული ორგანიზაციების სახელით შეამკოს ამხ. ფრუნზეს კუბო გვირგვინით.

ამხ. ორლოვის წინადადებით სხდომა ადგენს მეორე საქვეითო სამხ. სასწავლებელს დაერქვას ამხ. ფრუნზეს სახელი.

ამხ. ბლუაშვილის წინადადებით სხდომამ დაადგინა:

ეთხოვოს საბჭოთა კავშირის რევსაბჭოს, რათა მე-2 ქართულ ტერიტორიალურ დივიზიას ეწოდოს ამხ. ფრუნზეს სახელი.

# მოსკოვი სამგლოვიარო ძაძებში.

31 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე ამხ. ფრუნზეს ცხედარი გადიტანეს კავშირთა სახლის კალონიან დარბაზში.

1-ლ ნოემბერს მოსკოვი ძაძებით მოირთო.

კავშირთა სახლის მთელი რაიონი სავსეა მშრომელთა ჯგუფებით, ორგანიზაციებითა და სამხედრო ნაწილებით, რომელნიც უცდიან დარბაზში შესვლის რიგს.

მოსკოვის რაიონებში უჩვეულო გაცხოველებაა. მოდიან მუშები და მუშა ქალები, რათა მონაწილეობა მიიღონ სამგლოვიარო პროცესიებში.

ასეთივე უჩვეულო გაცხოველებაა გარნიზონის ყაზარმებში. წითელ არმიელთა შორის დიდი ლტოლვაა საპატიო ყარაულში მონაწილეობისაკენ. ზოგიერთ ყაზარმებში ფრუნზეს საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეები უზიარებენ ახალგაზრდა წითელ არმიელებს თავიანთ მოგონებებს.

# დასაფლავების მომწყობ მთავრობის კომისიისაგან.

ფრუნზეს დასაფლავება მოხდება დღეს, 3 ნოემბერს წითელ მოედანზე დღის 13 საათზე მოსკოვის დროით.

დელეგაციების, ორგანიზაციების და აგრეთვე სხვა მოქალაქეთა დაშვება დარბაზში განსვენებულ ფრუნზეს გვამის გამოსათხოვარად, შესწყდება დღეს დილის 8 საათზე.

სრულ 13 საათზე მოსკოვის დროით მუშურ-გლეხური წითელი არმიის და ფლოტის ყველა გარნიზონებში მოხდეს სალიუტი არტილერიის ამაო გასროლით, თანახმად სსრკ-ს რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1081.

კომისიის თავმჯდომარე **ენუქიძე.**

# ლ. დ. ტროცკის დეპეშა პარტიის ცეკასადმი.

„ღრმად შეძრწუნებული ვარ რევოლიუციის გმირი-მებრძოლის, პარტიის უებრო სალდათის, წითელი არმიის უკვდავ მთავარ სარდლის მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს გარდაცვალებით. რა უმოწყალოდ იმარგლება პარტიის მოწინავე რიგი! რა საშინელი ლახვარიაოქტომბრის მე-8 წლისთავზეო!“

# ამხ. ფრუნზე*)

(არსენი)

ფრუნზე, არსენი, მიხეილი..... მას კარგად იცნობენ ივანოვო-ვოზნესენსკის სამრეწველო რაიონის მოქალაქენი, მუშები, გლეხები და წითელ არმიელები. მას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენი შფოთიანი დღეებით. მას იცნობენ იმ წლებით, რომლებიც დიდიხანია წარსულს ჩაბარდა.

1907 წლის იანვარში ქ. შუიას ერთ-ერთ განაპირა უბანში იატაკ-ქვეშ მომუშავე რევოლიუციონურ - ბოლშევიკების ჯგუფი შემთხვევით შეხვდა შინაურ მტრების გამანადგურებელ პოლიციის ერთგულ აგენტს-ურიადნიკ პერლოვს.

ვიღაცამ ჯგუფიდან შენიშნა, რომ კარგი იქნებოდა მოგვეკლა ეს ურიადნიკი და კიდევ რაღაც ამ გვარად. მაშინ მეორემ ხელადწაიჩოქა, იძრო მაუზერი და ესროლა. ტყვია მიზანს ასცილდა. ურიადნიკი სწრაფად გასწორდა და თავის მხრივ ასტეხა სროლა. მას, ვინც ურიადნიკს ესროლა გაურჩა ვაზნა მაუზერში, სროლითვე პასუხის გაცემა შეუძლებელი შეიქნა და იძულებული გახდა გაცლოდა. მსროლელს მეტ სახელად არსენას უძახოდენ. ის იყო ახალგაზრდა სტუდენტი. მას ქონდა სხივოსანი თვალები. კოჭლობდა, რადგანაც 1905 წელში დარბევის დროს ერთი ვერსის მანძილზე ათრიეს ის თოკით მთვრალმა და გამხეცებულ ყაზახებმა.

ურიადნიკზე სროლა ვერ იყო მაინც და მაინც მოფიქრებული მოქმედება მით უმეტეს, რომ მსროლელი, ტერორისტი არ ყოფილა, არამედ ის იყო სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი და მონაწილეობას ღებულობდა მასიურ პოლიტიკურ მუშაობაში.

1907 წლის 24 მარტს ქალ. შუიას ერთ-ერთ საიდუმლო ბინაზე დაპატიმრებულ იქნა ერთი იმათგანი, რომელსაც დიდხანს ეძებდა პოლიცია და ჟანდარმერია. დაპატიმრების დროს მას ეჭირა ხელში ორი მაუზერი: უნდოდა სროლა აეტეხა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ვინაიდან სახლში ბავშვები და კერძო პირები ცხოვრობდენ. მას უძახოდენ არსენას. მაგრამ ეს იყო მეტი სახელი მისი ნამდვილი გვარი იყო მიხეილ ფრუნზე.

თუ რას წარმოადგენდა ეს ახალგაზრდა იატაკ ქვეშ მომუშავე შუიას მუშებისათვის, ამას დავინახავთ შემდეგიდან. არსენას დაპატიმრების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. ფაბრიკა-ქარხნები შეჩერდა. მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა, მიადგენ ციხეს და მოითხოვეს არსენას განთავისუფლება. შეშინებულმა ციხის ადმინისტრაციამ მხოლოდ ხრიკებითა და ტყუილი დაპირებით შესძლო დაემშვიდებია მუშები და შემდეგ სასწრაფოდ გაეგზავნა არსენა ვლადიმირში. საინტერესო იყო გაგზავნის სურათი. ჯარის კაცების მთელი ასეული ბრწყინავდა ცივი ფოლადის ხიშტებში ნაცრისფერი რიგი რიგს მისდევდა. მიყავდათ ერთი და ეს იყო ფრუნზე. ის ღირსიც იყო საპატიო ყარაულის.

რამდენიმე თვის შემდეგ, შემთხვევით, ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ურიადნიკი პერლოვი როგორც მოწმე შეხვდა არსენის, მასაც როგორც თავისებურ მოწმეს და იქავე განაცხადა, რომ ეს ის კაცია-რომელმაც მას ესროლა. ჩვენება ჩაწერეს. ფრუნზეს წარუდგინეს სასიკვდილო მუხლი... ფრუნზე იჯდა ციხეში და გულმოდგინედ სწავლობდა იტალიანურ ენას და სინდიკალისტურ მოძრაობას...

... მოხდა გასამართლება, გამოტანილ იქნა სასიკვდილო განაჩენი. გათავდა იტალიანური ენის გაკვეთილები, მაგრამ დაწყებულ იქნა ინგლისურ ენის შესწავლა; ვინ იცის, შეიძლება მალე მოუხდეს ინგლისში და იტალიაში ცხოვრება. ღირს კი ახალგაზრდა ცნობის-მოყვარე სტუდენტის იტალიაში და იგლისში ყოფნა? ღირს და მეტიც...

...განაჩენი შესცვალეს. განაჩენის შეცვლის გამო პროტესტი განაცხადეს. კვლავ-სასიკვდილო მუხლი, კვლავ გასამართლება. მერე, როგორ ცდილობდა ურიადნიკი? ვ. მ. კოროლენკოს მოწმობით („Русское Богатство“ 1910 წ., № 10, გვ. 134.), მან პირადათ მოიყვანა თავის ხარჯზე ერთ-ერთი მოწმეთაგანი შუიადან ვლადიმირში და წარუდგინა ის ვლადიმირსკის სასამართლოს პროკურორს. დიდი თავდადებული იყო „კრამოლნიკების“ გაჟლეტის საქმეში.

...განაჩენი კვლავ შესცვალეს.....განაჩენის შეცვლის გამო პროტესტი განაცხადეს.... ხოლო დრო მიდიოდა და მიდიოდა. ასე გავიდა ორი წელიწადი. ორი წლის განმავლობაში პატიმარ ამხანაგების თვალს ძალა-უნებურად იპყრობდა კვდარ, გამგუდავ და საზიზღარ ყულფისთვის განმზადილი ახალგაზრდა ძლიერი ყელი. . . . ორი წლის განმავლობაში ფიქრობდა ის იტალიაში და ინგლისში წასვლას.

მაგრამ, თუ ენები არ გეცოდინება რა აზრი აქვს იმ შემთხვევაში წასვლას? და განა წინდახედულად არ იქცევა ის, ვინც უცხოეთში წასვლამდე წინასწარ ენებს სწავლობს?

არის სიკვდილ მისჯილთა ორი კატეგორია: ერთი მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს; მეორეს მიმართ უფრო რთულ გრძნობას განიცდი; სიბრალულის გრძნობას უერთდება ამაყი შეგნება,—რომ მას შეუძლია სიკვდილი. ფრუნზე ეკუთვნოდა უკანასკნელ კატეგორიას.

საქმე კატორღით გათავდა. ექვსი წელი მოუხდა ფრუნზეს ვლადიმირსკის ცენტრალურ ციხეში ჯდომა. მკვდარ, ნესტიან და ბნელ გარემოებაში მიხეილი აღვიძებდა ამხანაგების აზრს, აღვივებდა ცოცხალ გრძნობებს, შექონდა სიმშვიდე საპყრობლის მოლუშულ მძიმე დღეების გადიზიანებულ და ნერვიულ ატმოსფეროში. . .

...ამ დროს საკატორღო ციხეებში პოლიტიკური კატორღელების გაროზგვა და სხვა ადამიანურ ღირსებების ამგვარი შელახვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ერთ დროს ვლადიმირსკის ციხის უფროსად იყო გუდიმა, ჰიუგოს გამოთქმით, კაცი გვამის სახით და ეშმაკი სულით. საზიზღარი, ჩასუქებული ყასაბი, დამჭკნარი პირისკანით, დამპალი სუნთქვით და ცხრაფეხას თვალებით, ის იყო განსახიერება „ობივატელი“-ს, იეზუიტისა და ჯალათისა. განსაკუთრებით დიდი სურვილი ქონდა მას მიეყენებია ამხ. ფრუნზესთვის ფიზიკური შეურაცყოფა.

.....როცა ციხეს დაათვალიერებდა მთავრობის რომელიმე თვალსაჩინო გვამი, ის აუცილებლად იკითხავდა.

—მმმმ.....მითხარით, თქვენთან მგონი არის პატიმარი მ. ფრუნზე?

პატივცემულ გვამს მიიყვანდენ საკანში და ის ცნობისმოყვარეობით უცქეროდა და ათვალიერებდა.....

..... როცა პოლიტიკურ პატიმრებს შორის ხდებოდა შეტაკება, ჩხუბი, უკმაყოფილება, კინკლაობა,—მიმართავდენ ამხ. მიხეილს....

....მოდი და ამისთანა კაცს ნუ გაროზგავ! ერთხელ მაინც!....ტყვილა ნუ ფიქრობს, რომ!...

მაგრამ ყასაბი, „ობივატელი“, იეზუიტი და ჯალათი ვერ ნახულობს მოხერხებულ შემთხვევას. ეძებდა კი ის ერთ დროს ასეთ შემთხვევას შეუდრეკლად და დაჟინებით....შემთხვევა არ მიეცა.

წლები ციხეებში, გადასახლება, არალეგალური მუშაობა ციმბირში, ხელახალი დაპატიმრების ცდა, გაქცევა, არალეგალური ცხოვრება....

.....მოიძებნა ტარასის კვალი....

შორეულ ვოლგას მინდვრებში გრძელი კალონებით გაჭიმულა შავი ადმირალის უფის დივიზია. ისინი დარწმუნებული იყვნენ თავის ძლიერებაში. მიდიოდენ მოსკოვზე. ისინი იყვენ გამოცდილ მეფის ჯარის კაცის საუკეთესო ნაწილები, იმედი და ნუგეში. ბრძოლის ხაზის მეორე მხრიდან მათ წინააღმდეგ რონოდებს მოჰყავდათ ახალი არმიის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნაწილები, რომლებიც მიდიოდენ დიდრონ ვარსკვლავიან ჩაფხუტებით. ვარიაგებისა და ვასნეცოვის ძველ გმირების მსგავსად ისინი იყვნენ დამშეულ მუშურ კუთხიდან. მათ შეუერთენ, ვოლგას მუშები. ისინი მოვიდენ იმ მხრიდან რომელიც გარშემორტყმულია უზარმაზარი ცეცხლის რკალით; იმ მხრიდან, რომელიც სულს ღაფავდა ცივ სიკვდილის მომგვრელ, სალტებში.

აქ ისინი შეიყრებიან სამკვს დრო სასიცოცხლო ბრძოლაში.,. ისინი შეიყარენ: უფიდიეიზია დამარცხებულია. დიდება ახალგაზრდა არმიას! მაგრამ ნუ დავივიწყ ბთ მის სარდალს ამხ. ფრუნზეს; ის არას დროს არ ყოფილა სამხედრო შტაბებსა და აკადემიებში, მაგრამ მან გვიჩვენა ნიჭი საუკეთესო წითელ სარდლისა!

...უკვე უფასთან გამოჩნდა

*) დაწერილია ამხ. ვორონსკის მიერ 1920 წელში ვრანგელზე გამარჯვების გამო.

# წითელ არმიელები ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო

## ჩემი მოგონება.

მახსოვს ამხანაგი ფრუნზე, როდესაც ის მეთაურობდა თურქესტანის ფრონტზე მომქმედ 1-ლ რევოლიუციონურ არმიას. ის საყვარელი მეთაური იყო მთელი არმიისათვის. მიუხედავად მძიმე პირობებისა ფრონტზე, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგი აუარება საქმეებით იყო დატვირთული, ის ყოველთვის გამონახავდა წითელ არმიელებთან საუბარს დროს, რომ გაეგო მათი ჭირ-ვარამი და გაეწია მათთვის შესაფერი დახმარება.

უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ამხანაგი წითელ არმიელებში, მას ყველა ენდობოდა, როგორც ენერგიულად მომქმედსა და ნიჭიერ ხელმძღვანელს. ამიტომ იყო, რომ წითელ არმიელები ყოველთვის გაბედულად მიდიოდენ მტრის წინააღმდეგ და გამარჯვებაც ყოველთვის ჩვენს მხარეზე იყო. მთელი თავისი ძალღონით ის თავდავიწყებით მუშაობდა მშრომელთა საკეთილდღეოთ და კიდევაც თავისი დაღი დააჩინა მას ამ მუშაობამ. ამხ. სამუდამოდ ჩამოგვაცალა დაუზოგავად შრომამ.

მივდივართ რა გრძელ ვადიან შვებულებაში, ვიძლევით პატიოსან წითელ-არმიელის სიტყვას, რომ მთელი ჩვენი ენერგიით შეუდგებით მუშაობას შრომის ფრონტზე, რომ ხელი შეუწყოთ იმ საქმის დაგვირგვინებას, რომლისთვისაც იბრძოდა ძვირფასი ბელადი. თუ ოდესმე კიდევ დაუდგება ჩვენს კავშირს განსაცდელი, პირველ გამოძახილისთანავე კვლავ ჩავდგებით წითელი არმიის რიგებში მუშათა კლასის მტრების დასამარცხებლად.

გაუმარჯოს შეურყეველ წითელ არმიას, რომლის მასწავლებლადაც იყო ამხ. ფრუნზე.

წ. არმ. პეტრაიატი.

## დიდ მხედარს.

(ცხენ. ლეგიონიდან.)

მწარე ტკივილი.
უსიტყვო გლოვა:
წითელ დროშის ქვეშ
ცრემლი ფარული.
მოსწყდა ჩვენს რიგებს
და ველარ მოვა
დიდი მხედარი
ლეგენდარული.
ფიქრთა ღელვაში
გულს გვიიმედებს
და გვიცისკროვნებს
ვით განთიადი:
დღეს თუ ის არ გვყავს
ჩვენ წითელ მხედრებს,
ხომ შეგვრჩა მისი
საქმე—დიადი.
დეე, ეს გლოვა
იყოს სიმბოლო
მოვალეობის
სრულ შეგნებისა
და საქმე მისი
წინ გავიძღოლოდ
ნიშნად რიგების
განმტკიცებისა.

წ. ა. დ. ხაზალია.

## ჩვენ ძირს არ დავხრით იმ დროშას, რომელსაც ამხ. ფრუნზე ემსახურებოდა.

მისაღამოვდა, ზოგიერთი კურსანტები გაშვებული იქნენ ქალაქში შვებულებაში. უმცირესობა კი სკოლაში იყვნენ და მეცადინეობდენ. ფრუნზეს გარდაცვალებაზე მოულოდნელად გვაცნობა ერთმა ამხანაგმა და მთელი სკოლა საშინლად დაამწუხრა. თანდათან მოვიდენ ქალაქში გასული ამხანაგები და კიდევ არ სჯეროდათ ეს სამწუხარო მოვლენა.

გულდაწყვეტილი ვიგონებდით ყველა ამხანაგებს, დიდ რევოლიუციონერებს, რომლებმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს მშრომელთა კეთილდღეობისათვის მუშაობას და მათ შორის პარტიის რიგებიდან გამოკლებულს წითელ არმიის დიდ ხელმძღვანელსა და ბელადს ამხ. ფრუნზეს.

დილით ქუჩებში გაკრულმა განცხადებებმა საბოლოოდ გაჰფანტეს ჩვენი ეჭვები, რადგან კიდევ ვერ დაგვეჯერებია ამხ. სიკვდილი

უფროსების მოსვლის შემდეგ გაისმა ზარის ხმა და სკოლის მთელმა შემადგენლობამ თავი მოიყარა კლუბში. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. „ამხანაგებო, აღარ გვყავს დიდი მებრძოლი, რევოლიუციონერი და წითელი არმიის ხელმძღვანელი“ ფრუნზე გაისმა სკოლის უფროსის ხმა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ამხ. გაგვაცნო ვრცელი ბიოგრაფია და მისი თავდადებული ბრძოლები, საბჭოთა მტრების წინააღმდეგ. ბოლოს მოგვიწოდა ამხ. ყველა კურსანტებს არ დავივიწყოთ ჩვენი უფროსი ამხ. ამხ. ხსოვნა და მათ შორის ამხ. ფრუნზესი, რომლებიც ბრძოლაში დაღლილები გამოგვაკლდენ ულმობელი სიკვდილით.

მათი დატოვებული წითელი დროშა, დროშა თავისუფლების უნდა ვატაროთ ამ ამხანაგებისაგან გაკაფული გზით და მივიტანოთ სრულ გამარჯვებამდე. ეს იქნება მათი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.“

კურსანტი ურუშაძე.

## სამგლოვიარო სხდომა.

6-სე ტერლეგიონი.

1 ნოემბერს ლეგიონში შესდგა 1 და 2 ათასეულების, სკოლის და ყველა გუნდების სამგლოვიარო სხდომა ს. ს. რ. კ. სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ვ. ფრუნზეს უდროოთ გარდაცვალების გამო.

სიტყვებით გამოვიდნენ ლეგთავი ამხ. გრიგოლია, სამხკომი ამხ. ქადაგიშვილი და პარტბიუროს მდივანი ამხ. ბაბლიძე ამხანაგებმა აღნიშნეს ის უდიდესი დანაკლისი ჩვენი პარტიისათვის და განსაკუთრებით წითელ-არმიისათვის რომელიც გამოწვეულია ამხ. ფრუნზეს დაკარგვით.

ისინი შეეხენ ამხანაგის მუშაობას, მის თავგანწირულ ბრძოლებს მშრომელთა ინტერესების დასაცავათ.

ამხ. ფრუნზემ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა პროლეტარიატის დიად საქმეს. მას არ აშინებდა ციხე-კატორღა-ციმბირი და მრავალი რეპრესიები.

რევოლიუციის დროს მშრომელი ხალხის მიზნებისათვის ის ქმნიდა ლეგიონებს, ხელმძღვანელობდა წითელ ჯარის რიგებს და მიყავდა ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ.

ჩვენი ლეგიონის საერთო კრება გრძნობს რა უდიდეს დანაკლის წითელ-არმიის წინამძღოლის ამხ. ფრუნზეს დაკარგვით, ფიცს ვდებთ, რომ ის, საქმე, რომელსაც ამხ. ფრუნზე ემსახურებოდა დავაგვირგვინოთ საბოლოოთ.

ჩვენი მტრები გაიხარხარებენ ამხ. ფრუნზეს სიკვდილით, მაგრამ მათ ჩვენ ჩავსცემთ მახვილს ისე გაბედულათ და შეურყევლათ, როგორც ეს უყვარდა თვით ამხ. ფრუნზეს.

მისი ხსოვნა სამარადისოდ იქნება ჩვენში.

სამხკორი ე—ლი.

## შევასრულებთ მის ანდერძებს.

პირველ ქართულ მსროლელი ლეგიონის წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა ღრმად დამწუხრებულია ცნობით ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ.

ამხ. ფრუნზეს სახით რკპ(ბ)-მ, წითელმა არმიამ და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებმა დაჰკარგეს ლენინის ძველი ბოლშევიკური გვარდიის წარმომადგენელი, კომუნიზმისთვის ბრძოლაში გამობრძმედილი რევოლიუციონერი და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა გამობრძმედილი ხელმძღვანელი. ამხ. ფრუნზეს სიკვდილს ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით იმპერიალიზმის შესაძრწუნებლად.

ჩვენ ფიცს ვსდებთ ამხანაგ ფრუნზეს ნეშთის წინაშე, რომ მაღლა გვეჭირება კომუნიზმის წითელი დროშა და მივიტანთ მას შრომის სრულ გამარჯვებამდის.

## შევამჭიდროვოთ რიგები

31 ოქტომბერს საღამოს მთელი სკოლის შემადგენლობა ძლიერ დააღონა ამხ. ფრუნზეს მოულოდნელად გარდაცვალების ცნობამ. წითელ არმიას აღარ ჰყავს მისი საუკეთესო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ძველ ლენინელთა რიგებს კიდევ გამოაკლდა ერთი ძველი, თავდადებული და კომუნიზმისათვის მებრძოლი. სკოლის მთელი შემადგენლობა გლოვობს წითელი არმიის საუკეთესო ბელადის დაკარგვას. ჩვენ ფიცს ვსდებთ ძვირფასი ბელადის ცხედრის წინაშე მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხსა და წითელ არმიასთან ერთად, რომ ყოველთვის მზად ვიქნებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ პროლეტარიატის საბოლოო მიზნებისათვის, რომელსაც მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება შეალია ამხ. ფრუნზემ.

სკოლის კურსანტი ალ. გაგუა.

---

ჩაფხუტები წითლათ მოკამკამე ვარსკვლავებით შავი ადმირალი უკანასკნელ აზრას სდებს ბრძოლის სასწორზე: მოდიან კაპელის ლეგიონები.

— მოდიან კაპელოველები!.. კაპელის ლეგიონებმა არ იციან რაა დამარცხება.,. კაპელის ლეგიონები მოდიან მოსკოვზე: მათ რონოდებზე სწერია: კურგან-უფა-მოსკოვი..

მათ თან ახლავთ ძველი არმიის გამოცდილი სამხედრო სპეციალისტები...

კვლავ ბრძოლა. კაპელოველები დამარცხებული არიან.

ეპიზოდი ბრძოლიდან... ლეგიონი წითელ ვარსკვლავიანი ჩაფხუტებით გადავიდა მდინარეზე. მტერი უშენს ყუმბარებს მისი რიგები უფრო და უფრო ძლიერ და გაბედულ გადარბენას აწარმოებენ. ჩაფხუტიანები დაიბნენ...

შეკრთა ერთი რიგი, გაიფანტა მეორე...

— ამხანაგებო, აქეთ! არც ერთი ნაბიჯი უკან! წინ, ჩემთან! სარდალი თქვენთანაა.

შაშხანით ხელში მირბის წინ აკოჭლებული კაცი.

— წინ! წინ:

დივიზიის სარდალი ჩაპაევი შეუდარებელი სიმამაცით იძახის:

— ამხ. სარდალო! წადით აქედან! აქ თქვენი ადგილი არ არის!

— წინ! ჩემთან! მე ვლებულობ ლეგიონის სარდლობას!

— ამხ. სარდალო! აქ მე ვარ დივიზიის სარდალი, თქვენ არა გაქვთ უფლება განკარგულება მისცეთ ჩემს ნაწილებს!..

ვარდება ყუმბარა... კონტუზია,..

არა, არა ყოველთვის ორი წლით „სმერტნიკის“ სახით ციხეში ჯდომას, არა ყოველთვის კატორღის ექვს წელსა და დიდი ხნის წანწალს,—არა ყოველთვის შეუძლია ყოველივე ამას კაცობრიობის საამაყოდ და საბედნიეროდ გამოაცალოს ადამიანს სხივოსანი ენერგია თვალებიდან, ჩააქროს მათში ცოცხალი სხივი, წაართვას მას თავდადება,—არა, ყოველთვის ვერ აქცევენ ისინი ადამიანს ფრთა-შეკვეცილად, მოდუნებულ, უხერხემლო და მიმქრალ პიროვნებად. ქება-დიდება კაცობრიობას და იმ პარტიას, რომელთა რიგებში იბრძვიან ასეთი ადამიანები!

... ახალგაზრდა, წითელი სარდლის ხელმძღვანელობისა და ფრთხილი ტაქტიკის გამო ორენბურგის მინდვრებში ნებდება ყაზახთა სამოციათასიანი რაზმი.

თურმე, მას არა მარტო აშკარა ბრძოლაში შესძლებია მტრის დამარცხება, არამედ შესძლებია კიდეც აჰყაროს მტერს იარაღი სისხლის დაუღვრელად; ეს განსაკუთრებული თვისებაა.

ურალის მიდამოებში ამხ. ფრუნზე ანადგურებს ნიჭიერ და გამოცდილ შავრაზმელ გენერალ ტოლსტოის არმიას.

... შორეულ თურქესტანში, ამხ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით მტრისგან იწმინდება კასპიის მხარე...

მომიტევონ მე დიპლომატებმა და, მგონია, ბუხარის რევოლიუციონერების ბრწყინვალე მოქმედებები, რაც ემირის განდევნით დამთავრდა, არ მომხდარა წითელი სარდლის მონაწილეობის გარეშე...

... სამხრეთ ფრონტის სამხედრო ოპერაცია ვრანგელის წინააღმდეგ ტარდება ამხანაგ ფრუნზეს არაჩვეულებრივი სისწრაფითა და მამაცობით. პერეკოპის და სივაშის აღება არის ჩვენი რევოლიუციის ისტორიის ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანი. ყელის („Перешейки“) გასამაგრებლად მუშაობდენ გამოცდილი ფრანგი ინჟენრები. ამხ. კამენევმა სამხრეთ ფრონტის შემოვლისა და მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მიცემულ კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია პერეკოპისა და სივაშის აღება,—ვერ მისცა გარკვეული პასუხი. ამავე საკითხის შესახებ ამხ. სტეკლოვმა მოწინავე წერილში გამოსთქვა მეტად მერყევი იმედი.

მაგრამ წითელი ნიაღვარი უკვე გადავიდა ყირიმის ნახევარ კუნძულზე.

მარქსისტი, ტერორისტი, აგიტატორი, იატაკის ქვეშ მომუშავე, ფრონტის ხელმძღვანელი.

განა მართალი არაა, რომ ეს არის ახალგაზრდული ცხელი გულის, ტერორისტის პირადი ვაჟკაცობის და იშვიათი ჭკუის ადამიანი.

... მაგრამ, როგორ გახდა სტრატეგი და სარდალი?

რასაკვირველია, ის არ იჯდა გულხელ დაკრეფილი—სწავლობდა, კითხულობდა, ღებულობდა გამოცდილებას მთელ სპეციალისტებისაგან, სინჯავდა თავის ნაბიჯებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვის შეუძლია განსჭვრიტოს რთული, ხვეული და საიდუმლოებით მოცული გზა, რომლითაც,—ტვინად წოდებულ სასწაულებრივ ლაბორატორიით,—მაწანწალა გამოდის შესანიშნავი მხატვარი, ხოლო იატაკ ქვეშ მომუშავე—აგიტატორი—სარდალი, და ახალი არმიის კანონიერი სიამაყე? ვინ იცის?

ამხ. მიხეილმა იცის თუ როგორ შეამჭიდროვოს თავის ირგვლივ და შეარჩიოს ხალხი. ეს იციან ყველა იმათ, ვინც მასთან მუშაობდა. მისი გამარჯვებები დიდი ორგანიზატორის გამარჯვებებია. ის უყვარს ამხანაგებს, მას პატივს სცემენ სპეციალისტები, მას ადამიანებთან „შეგუების უნარი“ აქვს. ის გიმორჩილებს თავისი პირადი მოპყრობით. მისი სიტყვები მარტივია, ლაპარაკობს სადად, მაგრამ ამ სიტყვებს ჰმორჩილებენ ისე, როგორც უფლება მოსილ ბრძანებას.

ის იმორჩილებს თავისი პირადი მოპყრობით, მარგამ არა მარტო ამით.

ერთმა ნაცნობმა, როგორღაც საუბრის დროს აღნიშნა:

— ამხ. ფრუნზე მეტად რბილი კაცია. მაგრამ მეორემ, ვლადიმირსკის ცენტრალურ სატუსაღოში ნამყოფმა უპასუხა:

— თქვენ მას არ იცნობთ! ის, მართალია, პირადი დამოკიდებულების დროს რბილია. მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ იმას არ იცნობთ, თუ როგორი კაჟისებური ხასიათისაა ის. ის დიდი ნებისა და მაგარი გულის კაცია.

ეს სიმართლეს წააგავს.

მას ემორჩილებიან კიდევ იმიტომ, რომ გრძნობენ მის მაგარ გულს და მტკიცე ნებისყოფას.

არ ვიცი, რამდენად დიდი, მაგრამ ვიცი,—რომ ის გახდა ასეთი ნიჭიერი წითელი სარდალი,—ამაში ერთგვარი საგრძნობი როლი ითამაშა—იმ გარემოებამ, რომ ის თავისუფალ მომენტებში გატაცებულია იარაღით; სწმენდს, აწყობს, შლის... ამ წუთებში ის სათამაშოებით გართულ ბავშს წააგავს.

ლ. ნ. ტოლსტოი ადამიანებს ყოფდა ორ კატეგორიად: ერთი—მამაკაცური, ხოლო მეორე დედაკაცურ თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანებად. მისი აზრით პირველთა მოქმედება გამომდინარეობს და განისაზღვრება აზროვნების მუშაობით; მეორეთა აზრის მოქმედება მიმართულია გრძნობის მიერ ნაკარნახევ მიზანთა მიღწევისაკენ, ან და გრძნობათა მოქმედებების გამართლებისაკენ.

ვფიქრობ, რომ ამხ. ფრუნზე არ ეკუთვნის არ ერთსა და არც მეორე კატეგორიას: მისი აზრები არ ამართლებენ გრძნობებსა და მოქმედებებს, ვინაიდან ის მართალია თავის შინაგან არსებაში, მაგრამ არც ახდენენ ზეგავლენას, ძალ დატანებას გრძნობებზე და არ ხდიან მათ გონების მორჩილ, უენო მონად. არიან სინთეზის ადამიანები, ვისმა აზრმა და გრძნობამ დღეს,—ჩვენს დისჰარმონიულ საუკუნეში,—მიაღწია, შედარებით, მაღალ ჰარმონიას.

ასეთია ჩემის აზრით ფრუნზე...

ჩვენ ბოლშევიკები საოცარი ხელგაშლილები ვართ. შეხედეთ ჩვენს მტრებსა და მოწინააღმდეგებს. როგორი სიფრთხილით ჰკრეფენ და ინახავენ თავის მეხსიერებაში ყველაფერს, რაც კი ღირს-შესანიშნავია.

რა სიყვარულით არიან აღნიშნული კალიაევი, ბალმაშევი, გერშუნი, რომ არ ვილაპარაკოთ კადეტების მოღვაწეობაზე...

ჩვენ უზომო ხელგაშლილები ვართ. განა ფრუზეს სახით, კალიაევის, გერშუნის და სხვებზე უფრო ნაკლები ფიგურა გვყავს? შეხედეთ რა მდიდარი ფერებია ამ ადამიანში! აგიტატორი, მირქსისტი, ტერორისტი, „სმერტნიკი“, და მეომრებთან ერთად შაშხანით ხელში მწოლიარე სარდალი.

არა, ეს ღირსია აღნიშვნის თუნდაც იმიტომ, რომ ერთხელ ზედმეტად ვილაპარაკო რევოლიუციონურ პროლეტარიატის პარტიის შესახებ: სისხლის მოყვარულ მოკავშირეთა და მძიმე პირობების მიუხედავათ, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს წამალი საწამლეში.

ამხ. ფრუნზე სისხლითაა დაკავშირებული ივანოვო—ვაზნესენსკის მხარესთან წარსულშიაც და აწმყოშიც. აღვნიშნავთ რა, ამ თვალსაჩინო თვისებებსა და დამსახურებებს, ჩვენ, პირველ ყოვლისა მათ მივაწერთ ჩვენი გუბერნიის წითელ ფეიქარს, ვინაიდან მასთან ერთად ისინი იბრძოდენ ვოლგას მხარეში, უფასთან, ორენბურგში, ურალზე, კასპსა და ყირიმში.

# საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს

# ბრძანება № 1080

ქ. მოსკოვი 31 ოქტომბერი 1925 წ.

31 ოქტომბერს გარდაიცვალა რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე.

მისი ცხოვრება მთლიანად იყო მიძღვნილი მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლისადმი. იაროსლავსკის ოლქის სამხედრო კომისრობის დროს, სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში, ამხ. ფრუნზემ რევოლიუციონურ მუშებთან ერთად შეადგინა წითელ ფეიქართა ლეგიონი და გაილაშქრა აღმოსავლეთ ფრონტზე კოლჩაკის თეთრი ჯარების წინააღმდეგ. ასობით მეთაური და კომისარი, ათიათასობით წითელ არმიელი აღმოსავლეთ ფრონტისა იბრძოდა და იმარჯვებდა მისი მამაცური და გამოცდილი ხელმძღვანელობით.

აღმოსავლეთ ფრონტის სამხრეთ ჯგუფით ამხ. ფრუნზე სასტიკად ანადგურებს კოლჩაკის არმიებს. ბუხარის მშრომელებს არას დროს არ დაავიწყდება ის, თუ როგორ დაეხმარა მათ თურქესტანის ფრონტის არმია ამხ. ფრუნზეს მეთაურობით ემირისა და მემამულეების ხელისუფლების ჩამოგდებაში.

მეთაურობს რა სამხრეთ ფრონტს ამხ. ფრუნზე აწყობს და ხელმძღვანელობს ვრანგელის განადგურებას.

აღმოსავლეთით, სამხრეთით კოლჩაკის, ვრანგელის წინააღმდეგ, ორენბურგთან, ურალსკთან, პერეკოპთან და თურქესტანში შეუდრეკლად მიჰყავდა ამხ. ფრუნზეს წითელი არმიის სახელოვანი დივიზიები ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ.

წითელი სარდლის გამოცდილებამ, სამხედრო ორგანიზატორის იშვიათმა ნიჭმა მიიყვანეს ამხ. ფრუნზე რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობამდი, იმ მომენტში, როცა წითელი არმია მივიდა სამხედრო საქმის ყოველმხრივ გაუმჯობესების ამოცანასთან მშვიდობიან აღმშენებლობის პირობებში.

მრავალ წლის განმავლობაში ციხეებით, გადასახლებით და კატორღით გამობრძმედილ ძველი რევოლიუციონერ ბოლშევიკის მტკიცე ნებისყოფას, სოციალიზმის საქმისთვის ანთებულ რევოლიუციონერის დაუშრეტ ენტუზიაზმს აქსოვდა ჩვენი რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე ამ დიად მუშაობაში. მაგრამ მრავალწლიან მძიმე ავადმყოფობამ გასტეხა ორგანიზმი და დღეს ოპერაციის შემდეგ გულის დამბლით გარდაიცვალა მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე.

წითელმა არმიამ დაჰკარგა ბელადი, მუშებმა და გლეხებმა კომუნიზმისთვის თავდადებული მებრძოლი, ჩვენმა პარტიამ ლენინის ძველ ბოლშევიკურ გვარდიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ერთ-ერთი მისი მშენებელი.

დავხაროთ ბელადის ცხედარზე ჩვენი დროშები, რომლის ქვეშაც ამარცხებდა რევოლიუციის მტრებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლევამოსილი ლეგიონები და დივიზიები.

გარდაცვლილ ბელადის ანდერძების ერთგულნი, მტკიცე ნაბიჯით, შეკავშირებულად და შეუდრეკლად გავწევთ ჩვენ წინ წითელი არმიის გაძლიერების გზაზე, განვამტკიცებთ მის საბრძოლო ძლიერებას, პოლიტიკურ შეგნებას, განვამტკიცებთ მის რევოლიუციონურ დისციპლინას, განვავითარებთ და გავაუმჯობესებთ საბჭოთა კავშირის სამხედრო საქმის ყველა მხარეებს.

ეს ბრძანება წაკითხულ იქნას ასეულებში, ესკადრონებში, ბატარეებში, გუნდებში და ეკიპაჟებში.

სსრკ-ს რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

უნშლიხტი.

რევსამხსაბჭოს წევრები: ვოროშილოვი, კამენევი, ბუბნოვი, ბუდიონი, ორჯონიკიძე, ლაშევიჩი, ბარანოვი, ზოფი, ეგოროვი, ზატონსკი, ელიავა, ხიდირ-ალიევი.

## ოქტომბრის 8 წლის თავს აღფრთოვანებით ვეგებებით.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონში განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავის მოახლოება. ყველას სიამოვნების ღიმი უკრის სახეზე. ხშირად იმართება საუბრები წ. არმიელებთან, გვაცნობენ 8 წლის თავზე მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიღწევებს. ვიგონებთ განვლილ ბრძოლებს, მწარე დღეებს როდესაც მშრომელი ხალხის სისხლში იჭედებოდა თავისუფალი ნება და მშრომელი ხალხის ბედნიერება.

ვიგონებთ რევოლიუციის დიდ ბელადებს, და გვასალკდევებს მათი ბრძოლის მაგალითები. 8 წლის თავზე თვალგამართული უყურებთ ჩვენი მუშური სახელმწიფოს მომავალს.

ლეგიონში სადღესასწაულოდ წარმოებული მუშაობა კიდევ უფრო აცხოველებს ამ იმედებს. მომავლის გამარჯვებით მტკიცე რწმენით შევხვდებით ამ დროს ჩვენს ნაწილში მოსულ ახალწვეულებს. გაუმარჯოს ოქტომბრის 8 წლის თავს და ჩვენი კავშირის ბრძოლის უკეთესი მომავლისათვის.

წ. არმ. ვ. ვაშაკიძე.

# ახალი რადიო-ამბები

## სპარსეთის მეფის ჩამოგდება.

დროებითი მმართველად არჩეულია რიზა-ხანი.

მოხდა საგანგებო სხდომა სპარსეთის მეჯლისში (სახელმწიფოს უმაღლესი დაწესებულება), რომელზედაც მონაწილეობდა 90 დეპუტატი, დღის წესრიგში იდგა საკითხი მეფის გვარეულობის (კაჯარების) ჩამოგდებისა და დროებით მართველად რიზა-ხანის არჩევის შესახებ. მოხდა საიდუმლო კენჭის ყრა. 80 კაცმა ხმა მისცა მეფის ჩამოგდების საკითხს, წინააღმდეგი იყო ერთი დეპუტატი, ხუთმა თავი შეიკავა და ოთხმა დასტოვა დარბაზი.



რიზა ხანი

ცნობას რიზა-ხანის მმართველად არჩევის შესახებ მოჰყვა ზარბაზნების სალიუტი.

პროვოკაციული სროლა მეჯლისში.

29 ოქტომბერს მეჯლისის სხდომაზე მოხდა პროვოკაციული სროლა, მოკლულ იქნა ორი კაცი. დაპატიმრებულია რამოდენიმე მეფის მომხრე დეპუტატი, რამოდენიმე დაიმალა.

## სპარსეთის საკონსულოს განცხადება.

სპარსეთის გენერალურმა საკონსულომ ტფილისში, პრესის წარმომადგენლებს გადასცა შემდეგი ცნობა გაზეთებში გამოსაქვეყნებლად.

უკანასკნელ ხანებში სპარსეთის ყველა კუთხეებიდან მოდიოდა ცნობები, რომ მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს სპარსეთში კაჯარის დინასტიის მეფობის გამო და მოითხოვდენ აღნიშნული დინასტიის გაუქმებას.

ყოველ დღე ეს უკმაყოფილება უფრო და უფრო იზრდებოდა და რომ მთავრობას ამისთვის ანგარიში არ გაეწია შესაძლო იყო ხალხის უკმაყოფილება გამოსახული იყო აჯანყებებში, რასაც სახელმწიფოსათვის მოყვებოდა მეტად არასასურველი შედეგები.

მეჯლისმა გაუწია ამას ანგარიში და თავის სხდომაზე 1304 წლის 9 აშანს *) დაადგინა გაეუქმებია კაჯარის დინასტია.

პრემიერი და ჯარების მთავარ სარდლი რიზა—ხან—პეხლევი, მეჯლისმა აირჩია სახელმწიფოს დროებით მმართველათ სპარსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, სადაც გამომუშავებული იქნება ქვეყნის მართვა-გამგეობის ახალი ფორმა.

*) სპარსული წელთაღრიცხვით: 1925 წლის 31 ოქტომბერს.

## საფრანგეთის ზარალი სირიაში.

ფრანგები მკაცრ ზომებს მიმართავენ

საფრანგეთის მთავრობა აბათილებს წინა ცნობებს ფრანგების ზარალის შესახებ სირიაში და აცხადებს, რომ მთელი ომის განმავლობაში დახოცილთა, დაჭრილთა და დაკარგულთა რიცხვი უდრის სულ 585 კაცს.

—ამერიკის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს ფრანგების შემძრწუნებელ მოქმედების შესახებ სირიაში.

გაზეთებს საერთოდ მტრული პოზიცია უკავია ფრანგების მიმართ და უწოდებენ დამასკში მათ მოქმედებას ტლანქსა და უტკუოს.

## ხელს არ გვიწყობენ.

4-ხე ლეგ. 8-ვე ასეული.

შეკრების დამთავრების შემდეგ ჩვენი ასეულიც გაემგზავრა თავის ძველ წერტზე. დანიშნულ ადგილზე ჩასვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენი ყოფილი ყაზარმები დაეკავებია რუსულ ნაწილს და ჩვენ უბინაოდ დავრჩით. დროებით მოვთავსდით ცხენების სადგომში. მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც კარგა ხნის გასვლის შემდეგ მიგვითითა ერთ დანგრეულ შენობაზე.

ამ ჟამად სწარმოებს მისი შეკეთება მაგრამ მეტად ნესტიანი ადგილია.

ადგილობრივი ხელისუფლება არ გვიწყობს ხელს აგრეთვე სამხედრო კუთხეების მოწყობაში, რომელიც დავალებული აქვს ჩვენს ასეულს.

ყველა ამას მეტი ყურადღება ესაჭიროება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

გაყინული.

## დაგვეხმარეთ კუთხეების მოწყობაში.

მე-2 ცალკე საკავშირო ასეული

ჩვენი ასეული სულ რამოდენიმე ხანია, რაც გადმოვიდა ქ. ქუთაისიდან და მრავალი დაბრკოლებებისა და გაძლიერებული მუშაობის მიუხედავათ მაინც ვშოულობდით საკმაო დროს, რომ შესაფერი ყურადღებით მოვკიდებოდით ლენინის კუთხის მოწყობის საქმეს.

მოწყობილი იქნა აგრეთვე ასეულის სამკითხველო. წითელ არმიელებს ამ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდენ აგრეთვე ასეულის მეთაურები. ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით ქიმიური, სანიტარული, სამხედრო და სხვა კუთხეების მოწყობა, რომლებიც დიდი აუცილებლობას წარმოადგენენ ჩვენთვის. კარგი იქნება აღმოგვიჩენდენ საჭირო დახმარებას ვისიც ჯერ არს და დაგვეხმარებოდენ ამ კუთხეების მოწყობაშიც.

წ. არმ. ჭელიძე.

## მოგვაქციეთ ყურადღება.

მეთ. გაერთ. სკოლა.

სკოლის წითელ არმიელებში ამ რამოდენიმე ხნის წინად აწარმოებდენ პოლიტ და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად აგვალეს ხელი. არა გვყავს პოლიტხელი, არავინ აწარმოებს ჩვენთან საუბრებს, არცა გვყავს მასწავლებელი, რომ გვასწავლოს რამე და სრულიად უცოდინარი არ დავბრუნდეთ სახლში. ვგვით სკოლის საკლასო ოთახებს და მეტი არაფერი.

როგორ უნდა დავბრუნდეთ სოფლებში სირცხვილით, რომ ყველა გაშვებული არმიელები ცოდნით ბრუნდებიან თვის სოფლებს და ჩვენ კი უცოდინარი მივალთ და არაფერზე წარმოდგენა არ უნდა გვექნეს. დროა მოგვაქციონ ყურადღება და ჩვენც გვასწავლონ რამე.

წ. არმ. კოჭიბაძე.

## ახალი გამარჯვებანი აღმშენებლობის ფრონტზე.

შავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის გაყვანა წარმატებით მიმდინარეობს.—მოძრაობა დაიწყება 7 ნოემბერს ახალსენაკიდან ხეთამდე.

შავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ნაწილის აგების საქმე დიდის წარმატებით მიმდინარეობს. ძველი რკ. გზის ლიანდაგი ახალ-სენაკიდან ხეთამდე უკვე საფუძვლიანათაა შეკეთებული. სულ რკინის გზის სამხრეთ უბანის აშენებაზე დახარჯულია 680.000 მანეთი.

ოქტომბრის დღესასწაულებზე გახსნილი იქნება მოძრაობა ახალსენაკიდან ხეთამდე.

დაკვრითი წესით სწარმოებს აგრეთვე მუშაობა რკ. გზის ხაზის გასაყვანათ ხეთადან ზუგდიდამდე.

ამ ხაზის გაყვანის დროს უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს მდინარე ჩხოუშზე ხიდის აგება. ამ მიზნით უკვე მიღებულია ყოველგვარი წინასწარი ზომები და ახლო ხანში შეუდგებიან დროებითი ხიდის აგებას.

ნოემბრის მეორე ნახევრიდან მოძრაობა დაიწყება ხეთიდან 7 ვერსის მოშორებით მდინარე ჯუმამდე.

ამნაირად, სამეგრელოს ახლო ხანში უკვე ექნება რკინის გზა.

დ.

## ახალი ამბები.

— საერთო სავალდებულო სწავლება. საქ. ცაკმა განათლების კომისარიატს გადასცა დასამუშავებლათ მასალები საერთო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ.

— აეროდრომი შოვში. შოვში (აგარაკია რაჭაში) უკვე დასრულდა აეროდრომის მოწყობა.

— მერძევეობის ფერმა. შოვში ეწყობა მერძევეობის ფერმა.

— ოქტომბრის დღესასწაულების ჩასატარებელი ხარჯების დასაფარავათ ტფ. აღმასკომმა გადასდო 3 ათასი მანეთი.

— ტფ. აღმასკომმა. დაადგინა დაარსოს საფინანსო-საკონტროლო განყოფილება.

— ბოტანიკურ ბაღის მოწყობა-შესანახად მიწ.-მოქ. კომისარიატმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

— საქ. ცაკმა დააკმაყოფილა სოფ. პატარა-ფოთის შუამდგომლობა ქალ. ფოთზე მიწერის შესახებ.

## ამბები სოფლებიდან

— გლეხკომის წისქვილები. გურის სამაზრო გლეხკომი ამ ჟამად მაზრაში ამუშავებს 24 წისქვილს.

— სოფლის გლეხკომებში. გორის მაზრის სოფლების გლეხკომებში მუშაობს 37 კაცი.

— ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს საკავშირო სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის წინაშე ახალქალაქში ბანკის სააგენტოს გახსნის შესახებ.

— ახალქალაქის მაზრაში ეწყობა მაზრის შემსწავლელი საზოგადოება.

— ბორჩალოს სამაზრო გლეხკომმა შეიძინა ცხენი სათემო გლეხკომებთან მიმოსვლის საქმის გასაადვილებლათ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.